| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130258217 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 19.03.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ლელა გაზდელიანი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | გალაკტიონის 7 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2935789 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 89600831018113 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ლელა გაზდელიანს, ნოტარიუსს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გალაკტიონის ქ. №7, მომმართა თეიმურაზ დავითაშვილმა. მან წარმოადგინა 19.03.2013წ. ჩატარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სოლოლაკის“-ს კრების ოქმი №5 მოითხოვა კრების ოქმის ბოლო გვერდზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თეიმურაზ დავითაშვილმა (დაბადებული 30.08.1954 წ. თბილისი, პირადი №01017016060, მისი განცხადებით, მცხოვრები: ქ. თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №3/5) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მას ჩემს მიერ განემარტა, რომ ნოტარიუსი კრების ოქმში აღნიშნულ სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ აგებს. მე ნოტარიუსი ლელა გაზდელიანი არ ვამოწმებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას. მან განაცხადა, რომ კრების ოქმი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ოქმის ბოლო გვერდს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 2.00 ლარი და 2.00 ლარი. (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 29 დეკემბერი, 2011 წ. №507, მუხლი 31.3 და 39). აგრეთვე დღგ 0.36 ლარი. (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსისა).

ნოტარიუსი ლელა გაზდელიანი: .....



19.03.2013 13:02

# ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "სოლოლაკის" კრების ოქმი №5

ქ. თბილისი 19.11.ი.-2013
ამხანაგობა "სოლოლაკი" მისამართი: გალაკტიონ ტაბიძის 3/5

ამხანაგობა " სოლოლაკის" თავმჯდომარე: თეიმურაზ დავითაშვილი
კრებას ესწრებოდნენ ამხანაგობის 52-წევრიდან 2/3- ზე მეტი( სულ წევრი)37
ამხანაგობის კრების თავმჯდომარე ------თეიმურაზ დავითაშვილი პ/ნ 01017016060

## დღის წესრიგი

ჩვენი საცხოვრებელი სახლის მეზობელ ეზოში გ. ტაბიძის №7 –ში არსებული გამწოვი მილის რეკონსტრუქცია რეაბილიტაციის შესახებ.

ინფორმაცია ამხანაგობის კრებას წარუდგინა ამხ. თავმჯდომარემ თ. დავითაშვილმა. მან გააცნო კრებას .რომ შ.პ.ს. " დაუნთაუნის" ხელმძღვანელობამ და კერძოდ ბატონმა ლევან კალინინმა, რომლის შენობაც ესაზღვრება ჩვენ საცხოვრებელ სახლს და მდებარეობს გ. ტაბიძის № 7- ში, მოგვმართა თხოვნით განეიხილოთ არსებული გამწოვი მილის დემონტაჟის საკითხი შემდგომში ახლით შეცვლის მიზნით. ( გამწოვი მილი მდებარეობს გ. ტაბიძის №7-ში ჩვენი საცხოვრებელი სახლის კედელზე უკანა მდებარე ეზოში.)

შ.პ.ს. "დაუნთაუნის" ხელმძღვანელობა იჩენს რა კეთილ ნებას ამხანაგობა " სოლოლაკის" მიმართ აღნიშნული სამუშაოების პარალერურად გამოცვლის ჩვენი სახლის კედელზე არსებულ მოძველებულ, ამორტიზირებულ თუნუქის წვიმის ჟოლობს.,რომელიც ზიანს აყენებს სახლის საძირკველსა და შენობის კედელს.

კრებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაადგინა:

მიეცეს უფლება ბატონ ლ. კალინინს რომ მოახდინოს არსებული გამწოვი მილის რეკონსტრუქცია ( გამოცვლა) მისამართზე გ. ტაბიძის №7-ს უკანა მდებარე ეზოში.აგრეთვე თავისი ხარჯებით შეცვალოს დაზიანებული თუნუქის წვიმის ჟოლობი

აღნიშნული საკითხი ინფორმაციის სახით მიეწოდა თ ამხანაგობის წევრებს.

კრების თავმჯდომარე თ. დავითაშვილი

თეიმურაზ დავითაშვილი